

ქვეყნის გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში

ლომია მაია

ჭუმბურიძე ნინო

მარგიანი ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.32>

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) FR-21-352
საგრანტო პროექტის ფარგლებში

აბსტრაქტი. არასალიტერატურო ქართველური ენები (მეგრული, ლაზური, სვანური) და ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები ზეპირმეტყველების საკომუნიკაციო სისტემას ქმნიან; შესაბამისად, არაერთ ენობრივ მოვლენას გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი აქვს ქართველურ ენებსა და დიალექტებში. ერთ-ერთი ასეთია ნაწილაკითა და ინტონაციით გადმოცემული ერთი ტიპის ქვეყნობილი წინადადება. მთქმელები საანალიზო კონსტრუქციას ძირითადად სიუჟეტური ამბის თხრობისას ემოციური დაძაბულობის გადმოსაცემად იყენებენ. მეგრულში მისი ფორმალური ნიშანია -ო ნაწილაკი, რომელიც ქვეყნობის საფუძველზე აკავშირებს ორ წინადადებას. ასეთ კონსტრუქციაში დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; -ო ნაწილაკი მის ბოლოკიდურ წევრს დაერთვის და აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის, რაც დაუსრულებლობაზე მიუთითებს; შესაბამისად, აზრს ასრულებს მომდევნო მთავარი წინადადება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ -ო ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების შემცველი კონსტრუქცია ზერთულია, აგებულია თანადაქვემდებარების პრინციპით, თუმცა მთავარ კომპონენტად ნაგულისხმევი თქმა-ბრძანების სემანტიკის ზმნა ძირითადად გამოტოვებულია. მაქვემდებარებელი ფუნქციით გამოყენებული -ო ნაწილაკი ქართულ ვერსიაში „რომ“ კავშირით გადმოდის; მაგალითად, კარს მოიჯინულ, მუდგარენი ქიმკოჭარუ (ხუბუა, 3, 11) სიტყვასიტყვით ასე გაიგება: „კარს შეხედაა, რაღაცა აწერია“; სრულყოფილი თარგმანი ასეთი იქნება: „კარს რომ შეხედა, [დაინახა], რაღაცა აწერია“.

მსგავსი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც. მეგრულში დადასტურებული -ო ნაწილაკის ადგილას მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში -ა ნაწილაკია მოცემული; გურულსა და აჭარულში დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდური წევრის ხმოვნის დაგრძელება ფუნქციურად უტოლდება ორივე დასახელებულ შემთხვევას. -ო და -ა ნაწილაკების გენეზისი შეიძლება ერთგვარი იყოს: ან კითხვითობის ნაწილაკებია და ჩაკითხვას გამოხატავენ, ან ო-რენ / ა-რის „არის“ ზმნების გაცვეთის შედეგად მიღებული პროსოდიული ელემენტებია (კლიტიკები); სვანურში ამ ტიპის ჰიპოტაქსური სტრუქტურები მრავალფეროვანია; კერძოდ, ხან გამოხატულია ოდენ ინტონაციით, ხან ინტონაციასთან ერთად ი „-ც“ ან -ა ნაწილაკებით. არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში ნაწილაკებითა და ინტონაციით გამოხატულია მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქცია და ხაზგასმულია ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ფაქტის განსაზღვრულობა.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, დიალექტები, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, ინტონაცია, ნაწილაკი.

არასალიტერატურო ქართველური ენები ზეპირმეტყველების ენებია. მეგრული, ლაზური და სვანური ფოლკლორული ნიმუშები საუკუნეების განმავლობაში ზეპირად ვრცელდებოდა. ასეთ დროს ენა მრავალფეროვან საშუალებას იყენებს, რათა აზრი იყოს ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული და დასამახსოვრებლად ადვილი. ენობრივი სტრატეგიები ენობრივი დონეების გათვალისწინებით იქმნება: ფონეტიკა-ფონოლოგიის ფარგლებში ზეპირმეტყველებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია **ინტონაცია**, ხოლო ფორმალურ (მორფოლოგიურ) საშუალებებს შორის ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ხშირი გამოყენებისაა **ნაწილაკი**. წინამდებარე სტატიაში მეგრული, სვანური და ქართული ენის დიალექტური საანალიზო მასალის მიხედვით ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი სწორედ ინტონაციისა და ნაწილაკების მიხედვით არის წარმოდგენილი.

ორი წინადადების ქვეწყობის საფუძველზე შესაერთებლად გამოყენებულია შემდეგი ნაწილაკები: **-ო** მეგრულში, **-ი-** და **-ა** სვანურში, **-ა** ინგილოურ დიალექტში; გურულ და აჭარულ დიალექტებში სპეციალური ფორმალური მახასიათებლის მაგივრობას ეწევა წარმოთქმისას დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდური წევრის ხმოვნის დაგრძელება; ამავე პოზიციაში სპეციფიკური ინტონაციითა და ხმოვნის დაგრძელება- გაორმაგებით გამოხატული ქვეწყობა უცხო არ არის სვანურისთვისაც. ქვეწყობის გამოხატვის ფუნქციური ერთგვარობის მიუხედავად, მცირე ნიუანსობრივი სხვაობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ემპირიულ მასალას განვიხილავთ ენებისა და დიალექტების მიხედვით ცალ-ცალკე.

მეგრულში **-ო** ნაწილაკიანი დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; **-ო** ნაწილაკიც ყოველთვის ბოლოკიდურ წევრს მიერთვის, რომელიც ძირითადად ზმნა-შემასმენელია, იშვიათად – წინადადების სხვა წევრი; **-ო** ნაწილაკი ქართულ თარგმანში მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირის ფარდია; მაგალითად,

(1) *მიოჯინულ, ქოძირე ბოშიქე, ვითოჟირხოლო დუდი კინი ქიირდუენი „რომ გაიხედა, დაინახა ბიჭმა, რომ თორმეტივე თავი ისევ იზრდება“* (დან., ცან. 644, 9).

(2) *ქემერთ ხოლოშავლ, ქოძირუ დიდაქ, ბაღანა აშო ქიმირულედუენი (ექსპ. მასალ.) „რომ მივიდა ახლოს, ნახა დედამ, რომ ბავშვი აქეთ მორბოდა“.*

რამდენადაც „რომ“ ზოგადი მნიშვნელობისაა და ამავე დროს პოლისემანტურია, საანალიზო კონსტრუქციაში იგი შეიძლება დაზუსტდეს დროის გამომხატველი მაქვემდებარებელი კავშირით:

(1ა) *მიოჯინულ (=მუჟანს მიოჯინუ), ქოძირე ბოშიქე.... „შეხედა (=როცა შეხედა), დაინახა ბიჭმა...“.*

მეგრულში **-ო** ნაწილაკიანი დამოკიდებული აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის; აზრს ასრულებს მომდევნო მთავარი წინადადება, რომელიც ძირითადად გამარტივებულია, კერძოდ, დაკარგულია მთავარ კომპონენტად ნაგულისხმევი თქმა-ბრძანების გამომხატველი ზმნა-შემასმენელი; მაგალითები:

(3) *გააჯინულ, მუმ ოსურქ იესუ გვილირქ (ხუბუა, 238, 15) „რომ გახედა, [ნახა], თავისი ცოლი იქნა მოკლული“.*

(4) *კარს მიოჯინულ, მუდგარენი ქიმკოჭარუ (ხუბუა, 3, 11) „კარს რომ შეხედა, [დაინახა], რაღაცა აწერია“.*

(5) *ქიმერთ ხოლოშავლ, ა, მუში დელმახორეში ოსური (ხუბუა, 17,8) „ახლოს რომ მივიდა, [დაინახა], აგერ თავისი მეზობლის ცოლი“.*

(6) *ქიმოდირთ ხოლოშავლ, მინდორი ართო ჩიჩიფიშ ეფშა ქორე (ხუბუა, 91,29) „რომ მიუახლოვდა, [ნახა], მინდორი ერთიანად სავსეა მათხოვრებით / გლახაკებით“.*

საანალიზო კონსტრუქცია ზერთული და ტევადი ინფორმაციის შემცველია, თუმცა ძალზე მოქნილია, რასაც ზმნური ფორმის ელიფსისით გამოხატული ზეპირ-მეტყველებისთვის დამახასიათებელი ეკონომიურობის პრინციპი განაპირობებს.

ინგილოურ დიალექტურ ტექსტებშიც, რომლებიც თავის დროზე მოსე ჯანაშვილმა ჩაწერა, ცალკე შეიძლება გამოიყოს ის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომელთა დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრი -ა ხმოვანს დაირთავს და ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; მაგალითად ⁸,

(7) *კერგლებთან ჰუმ მისულანჲ, ყოვს დაუჩხავლნი.*

ინგილოურში დადასტურებულ თავისებურებაზე პირველად ქეთევან ლომთათიძემ გაამახვილა ყურადღება; ასევე, აღნიშნულ ენობრივ ფაქტთან დაკავშირდა და ერთნაირ ენობრივ მოვლენად მიიჩნია **გურულ** და **აჭარულ** დიალექტებში იმავე პოზიციაში ბოლო ხმოვნის დაგრძელება (ლომთათიძე, 1946, 337-344; ლომთათიძე 1988).

გურული დიალექტის მაგალითები:

(8) *თქვენ რო ხელც არ მიშლიდეჲ⁹, ყოლიფერს მუახერხეფ.*

(9) *უმ გადიარს აქიდაჲ, მერე მიეცემა დიდი გული.*

აჭარული დიალექტის მაგალითები:

(10) *ის ტყე რომ მოჩანს შავიდ, იმის ძირში არის (სოფელი).*

(11) *ახლა უმ აქ ქალი იყოლ, იმას აქ ჭახრაკი.*

ქ. ლომთათიძის ვარაუდით, ინგილოურში დადასტურებული ენობრივი ფაქტები უფრო ადრინდელი ვითარების გამომხატველია, ხოლო გურულსა და აჭარულში ბოლო სიტყვის უკანასკნელი ხმოვნის დაგრძელებას ამ „-ა“-ს დაკარგვა გამოიწვევდა (ლომთათიძე, 1946, 342).

სვანურშიც ამ ტიპისად შეიძლება ჩაითვალოს -ო- ან -ა ნაწილაკიანი ჰიპოტაქსური წინადადება, რომელიც სპეციფიკური ინტონაციით წარმოითქმის; მართალია, სვანური -ო- ნაწილაკი ქართული „-ც“ -ს ფარდია, თუმცა საანალიზო კონსტრუქციაში იგი ჰიპოტაქსური მნიშვნელობისაა და მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მოქმედების თანადროულობას გამოხატავს; შესაბამისად, მისი ქართული შესატყვისია: „თუ არა“, „როგორც კი“; აღსანიშნავია, რომ სვანურში -ო- ნაწილაკი თავკიდურა პოზიციაში მდგარი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის შუაშია მოქცეული, განსხვავებით მეგრული და დიალექტური მასალების მონაცემებისაგან; მაგალითად,

(12) *ზისხს ქა-ო-ხეწად, ბაჟ ქოხკად (ექსპ. მასალ.) სიტყვასიტყვით: „სისხლი და-როგორც კი-ნახა, გული წაუვიდა“, შდრ.: „სისხლი როგორც კი დაინახა, გული წაუვიდა“.*

სვანურში -ო- ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების პარალელურად მთავარ წინადადებაშიც შეიძლება გაჩნდეს კორელატის ფუნქციით და ქართულად გადმოიცეს „კიდევაც“, „მაშინვე“ ფორმაუცვლელი სიტყვების მნიშვნელობით:

(13) *ყორისგა სვა-ო-ანსკინე, ჩუ-ო-ანშყად მეხ (ექსპ. მასალ.) „კარში შემოვარდა / შემოხტა თუ არა, ჩამოვარდა კიდევაც/მაშინვე მეხი“.*

სვანურშიც -ა ნაწილაკიანი დამოკიდებული პირველ ადგილზე დგას და აზრობრივად პირობის შემცველ დაშვებას გამოხატავს, მოსალოდნელი შედეგი კი მთავარშია

⁸ დიალექტურ ტექსტებში დადასტურებული ჰუმ, რო, უმ ფორმები რომ კავშირის ტრანსფორმირებული ვარიანტებია.

⁹ გემინაციის პროცესს გაორმაგებული ხმოვნებით წარმოვადგენთ, განსხვავებით ქ. ლომთათიძის სტატიაში მოცემული ჩანაწერისაგან.

მოცემული; საკუთრივ -ა ნაწილაკი „თუ“-ს მნიშვნელობისაა. მაგალითები:

(14) ამის სამსახურ ჩუხელვენივჲ, ქვეყანახენქა დემის ღვრდა „ამას სამსახური ექნებოდა“ (=თუ ექნებოდა), ქვეყნიდან არ წავიდოდა“.

სვანურში გურულ-აჭარულის მსგავსი შემთხვევაც დასტურდება, რაც ხმოვნის დაგრძელებითა და სპეციფიკური ინტონაციით გამოიხატება; დამოკიდებულ წინადადებაში გრძელდება ბოლო სიტყვის ბოლო ხმოვანი, ან კიდევ: ბოლო დახურული მარცვლის ხმოვანი (ეს იმ შემთხვევაში, თუ ზმნა თანხმოვანზე მთავრდება):

(15) ამის სამსახურ ჩუხელვენიდვ, ქვეყანახენქა დემის ღვრდა „ამას სამსახური ექნებოდა“ (=თუ ექნებოდა), ქვეყნიდან არ წავიდოდა“.

სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დადასტურებული ნაწილაკებისთვის სინტაქსური ფუნქცია მეორეულია; ამიტომ მათი **გენეზისის** საკითხი დგას.

მეგრულის -ო ნაწილაკის წარმომავლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში: ნია აბესაძის აზრით, აქ ქვეწყობის საფუძველზე დაკავშირებულია ორი წინადადება კითხვითი ნაწილაკის საშუალებით: „ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამგვარ კონსტრუქციებში კითხვითობის გაგება მეგრულშიღა შემოგვრჩა, მაგრამ აქაც უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (აბესაძე, 1963, 19). ამ უკანასკნელი ფრაზის მიუხედავად, აშკარაა, რომ ნ. აბესაძეს ამ კონსტრუქციაში -ო კითხვითობის გამომხატველ ნაწილაკად მიაჩნია, ამოსავალ ვითარებაში მაინც. სხვა თვალსაზრისის თანახმად, ამგვარ კონსტრუქციაში -ო-ს კითხვითობის გაგება არა აქვს და არც ჰქონდა; იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ორე(ნ) „არის“ მეშველი ზმნისგან: უჯინუ + ორე(ნ) → უჯინუ - ო „გახედა არის“ > გახედა არა!“ განზოგადებული „რომ“ კავშირის ფუნქცია მან შემდგომში შეიძინა გარკვეული ენობრივი რეინტერპრეტაციის შედეგად (ციკოლია, 1977, 87). **დიალექტურ ტექსტებში** დადასტურებული -ა ნაწილაკი შეიძლება მომდინარეობდეს ან „არის“ ზმნისგან, ან „არა“ ნაწილაკისგან: „თავად ეს „ა“ ნაშთია ან „არის“ ზმნისა, ან დადასტურებით-ჩაკითხვითი „არა“ ნაწილაკისა (ლომთათიძე, 1946, 342). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამავე თვალსაზრისს იზიარებს ბ. ჯორბენაძეც (ჯორბენაძე, 1989, 537). **სვანურში** -ა ნაწილაკი მატერიალურად კითხვითი ნაწილაკია, თუმცა საანალიზო წინადადებაში ისიც ჩაკითხვას გამოხატავს.

შეჯამება: არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში დადასტურებული -ო და -ა ნაწილაკების გენეზისი თანაბრად ითავსებს ორივე ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს; მეგრულსა და სვანურში -ო და -ა კითხვითობის ფორმალური საშუალებებია სინქრონიულ დონეზეც თუმცა აღნიშნული ნაწილაკების *ო-რენ* / *ა-რის* / *არი* ზმნებისგან მომდინარეობა უფრო სარწმუნოა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა. ზეპირმეტყველებაში „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმები (არის, ორე(ნ), არი) გამოიყენება მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქციით (ამ საკითხზე დაწვრ. იხ. კვანტალიანი, 1990; ლომია, 2005).

ბ. ფორმათა გამარტივება დამახასიათებელია ზოგადად ზმნებისგან მომდინარე ნაწილაკებისთვის, მაგალითად ავიღოთ ქართულში თავად *არის* → -ა პროცესი; აგრეთვე შდრ.: ქართული *ვინძლო, ეგებ, უნდა* მოდალური ნაწილაკების ჩამოყალიბების გზა.

გ. საანალიზო ფორმები – *მიოჯინუ-ო* / *შეხედა-ა* და მისთან. კითხვაზე მეტად ჩაკითხვას გამოხატავენ და ფაქტის განსაზღვრულობას უსვამენ ხაზს (შდრ.: „აქაც [მეგრულში] უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (ნ. აბესაძე)).

დ. სვანურში ამავე ფუნქციით გამოყენებული ქართული „ც“-ს ფარდი -ი- დადასტურებითი ნაწილაკია.

დასკვნები:

1. არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციურ საფუძველს ქმნიან ფორმალური საშუალებები (ნაწილაკები) და ინტონაცია.

2. სინტაქსურის გარდა, მათ აკისრიათ პრაგმატიკულ-სტილისტური – ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ფაქტის დადასტურება-განსაზღვრულობის ფუნქცია.

ლიტერატურა:

აბესაძე, ნ. (1963). „რომ“ კავშირი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვანტალიანი, ლ. (1990). ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ლომთათიძე, ქ. (1988). ქართულ დიალექტებში დამოკიდებული წინააღების გამოხატვის ფუნქციური საფუძველი, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

ლომთათიძე, ქ. (1946). დამოკიდებული წინააღების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, 337-344, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ლომია, მ. (2005). ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ციკოლია, მ. (1977). აფხაზურ-ქართული სინტაქსური პარალელები, აფხაზეთის ენის, ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ. VI, სოხუმი.

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია, ნაწილი I, გამომცემლობა „მეცნიერება“.

წყაროები:

ექსპედიციის მასალები მოპოვებულია FR-21-352 გრანტის ფარგლებში 2022-2023 წლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების დროს სვანეთსა და სამეგრელოში.

ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II (1991). მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ); ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ; თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხუბუა, მ. (1937). მეგრული ტექსტები. ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა და სტამბა.

დაუმოწმებელი დიალექტური მაგალითები აღებულია ქ. ლომთათიძის სტატიიდან (იხ. ლომთათიძე, ქ. (1946)).

შემოკლებათა განმარტებანი:

ხუბუა – იხ. ხუბუა, მ. (1937).

და., ცან., – იხ. ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II (1991).

ექსპ. მასალ. – იხ. ექსპედიციის მასალები.

Common Functional Basis of Expression of Subordination in Non-Literary Kartvelian Languages and Dialects of the Georgian Language

Lomia Maia
Tchumburidze Nino
Margiani Ketevan

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics , Tbilisi

This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN), Grant number FR-21-352

Abstract

Non-literary Kartvelian languages (Megrelian, Laz and Svan) and the dialects of the Georgian language form a communicative system of oral speech. Therefore, numerous language phenomena have a common basis of expression in Kartvelian languages and Georgian dialects. An example of the above-mentioned is a certain type of complex sentence with a peculiar particle and intonation. The speakers use the construction under analysis chiefly for expressing emotional tension in narration. In Megrelian, the formal marker of the above-mentioned construction is the particle **-o**, which connects two clauses based on subordination. In such construction, the subordinate clause has the initial position. The particle **-o** is added to its final member and is pronounced with a rising tone, which points to incompleteness. Hence, the idea becomes complete in the following main clause. Mention should be made of the fact that the construction of the subordinate clause with particle **-o** is overly complicated. It is based on the principle of co-subordination, but the verb of saying/ordering semantics, implied as the main component, is mostly omitted. The particle **-o** which performs a subordinating function is translated into Georgian by means of the conjunction *rom* “that”. For instance, Megrelian *kars miožinu, mudgareni kimk’oc’ aru* (*Khubua*, 3, 11) is literally translated into Georgian as: *kars šexeda, rayaca ac’eria*; but a complete translation is: *kars rom šexeda, [dainaxa], rayaca ac’eria* “when he/she looked at the door, he/she saw that something was written on it”.

Similar hypotactic constructions are found in Georgian dialects. Instead of the particle **-o** found in Megrelian, we find the particle **-a** in the Ingiloy texts recorded by M. Janashvili. In the dialects of Guria and Achara, the vowel of the final member of the subordinate clause is lengthened, which is a functional equivalent of the above-mentioned Megrelian and Ingiloy cases. It is highly probable that the particles **-o** and **-a** are of the same origin: they are either interrogative particles or prosodic elements (clitics) obtained from the verbs *o-ren* / *a-ris* (third person singular form of the verb “to be”); In Svan, this type of hypotactic construction is expressed by means of the particle **-c** “-ts”. In non-literary Kartvelian languages and Georgian dialects, particles and intonation serve as subordinating conjunctions and emphasize the definiteness of the fact expressed by the hypotactic construction.

Keywords: *Kartvelian Languages, Dialects, Hypotactic construction, Intonation, Particle.*